საქართველოს მთავრობის

დადგენილება №396

2021 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის №426 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის №426 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/07/2014, 010130000.10.003.018046) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) **უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანო** – ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი პირის დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანო/უწყება, ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამის განმახორციელებელი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები ან მათი წარმომადგენლობები ადგილსამყოფელ ქვეყანაში;“.

2. მე-8 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. დასაბრუნებელი მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით წარდგენილი დოკუმენტები (მათი ასლები) ერთვის საქმის მასალებს.“.

3. მე-10 მუხლის 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. დასაბრუნებელი მოწმობა ელექტრონული ფორმით გაიცემა მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“.

4. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს შუამდგომლობა შეიძლება, წარდგენილ იქნეს დიპლომატიური არხების გამოყენებით, ფოსტით ან/და რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემით.“.

5. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნების მიზნებისათვის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**